უსმა/USMA-ს კონფერენცია

“საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები”

2024 წლის 10 სექტემბერს „უსმა/USMA“-ს ორგანიზებით გაიმართა სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები" (მომხსენებელი - ვლადიმერ მაჭრაშვილი - სამართლის დოქტორი, პროფესორი). კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა გოჩა ცოფურაშვილმა (უსმა/USMA-ს პრეზიდიუმის წევრი, მეცნიერებათა დოქტორი).

კონფერენციის მოდერატორები: ბესიკ ობოლაძე (უსმა/USMA-ს თავმჯდომარე, მეც. დოქტორი) და გია მეფარიშვილი (უსმა/USMA-ს პრეზიდიუმის წევრი, სამართლის დოქტორი, პროფესორი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი).

კონფერენციას ესწრებოდნენ უსმა/USMA-ს პრეზიდიუმის წევრები: მარინა ქურდაძე, ქეთევან ტომარაძე, დავით ობოლაძე.

კონფერენციას ესწრებოდნენ და დისკუსიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წამომადგენლებმა: გიორგი მდინარაძემ, ელზა ჯმუხაძემ, თამუნა გეგიაძემ.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ: უსაფრთხოების ექსპერტები: სიმონ ნოზაძე, გელა სულაძე, თორნიკე ჯოჯუა, გიორგი გორდეზიანი.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლები - გოჩა ოჩიგავა - სამართლის დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრის ხელმძღვანელი, ზაალ სარაჯიშვილი - სტუ-ს ეჟენი ფრანსუა ვიდოკის სახ. ოპერატიულ-სამძებროსაქმიანობის და პერსონალური უსაფრთხოების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, დარეჯან ლეკიაშვილი - სამართლის დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი.

კონფერენციას ესწრებოდნენ ახალგაზრდა მკვლევარები: დავით ცეცხლაძე, ლუკა ნადიბაიძე, ასევე წარჩინებული სტუდენტები კავკასიის საერთასორისო უნივერსიტეტიდან.

იხილეთ ვიდეო მასალა აქ

კონფერენციის თემა: *„საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები".*

კონფერენციის მიზანი:

დისკუსია სისხლის სამართლის პროცესის ისეთ სამართლებრივ ინსტიტუტზე, რომელსაც საადვოკატო გამოძიება ეწოდება. საადვოკატო გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის იურიდიული ბუნება.

პრობლემის მოკლე აღწერა:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც მიღებულ იქნა 2009 წელს და მოქმედებს 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ითვალისწინებს ადვოკატის მიერ საადვოკატო გამოძიების ჩატარების ფართო უფლებამოსილებას.

გავიდა 14 წელი (თუმცა „კერძო დეტექტიური საქმიანობის შესახებ" კანონის მიღების ინიციატივა პარლამენტში პირველად 1998 წელს გაჟღერდა, მაგრამ კანონის მიღება დაიბლოკა...) და აღნიშნულ თემაზე თითქმის არაა სრულყოფილი სამეცნიერო კვლევები, სადაც პასუხგაცემულია შემდეგი კითხვა - სისხლის სამართლის პროცესში, საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტის ჩამოყალიბებით, ხომ არ შეიქმნა ახალი საგამოძიებო ორგანო? გამოძიების ტრადიციული ფორმის თანაფარდობა საადვოკატო გამოძიების ინსტიტუტთან მიმართებაში, მათ შორის მსგავსებები და განსხვავებები...

კონფერენციის ამოცანები:

იმისათვის, რომ სრულყოფილად გავაანალიზოთ საადვოკატო გამოძიების, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის იურიდიული ბუნება, საჭიროა შეძლებისდაგვარად დავადგინეთ სისხლის სამართლის პროცესში საადვოკატო გამოძიების ცნება და მნიშვნელობა, გამოვიკვლიეთ მისი მიზნები, ამოცანები, შინაგანი სტრუქტურა და ა.შ.

უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია
ASSOTIATION OF SECURITY RESEARCHERS

სამეცნიერო კონფერენცია

10.09.2024 წ.

კონფერენცია/დისკუსია:

„საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები“

მოდერატორები

- **გია მეფარიშვილი**

სამართლის დოქტორი, პროფესორი, იუსტიციის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი, უმაღლესი კვალიფიკაციის მოსამართლე.
„უსმა“-ს პრეზიდიუმის წევრი, „უსმა“-ს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე

- **ზესიკ ობოლაძე**

„უსმა“-ს თავმჯდომარე,

მეცნიერებათა დოქტორი,

უშიშროების პოლკოვნიკი

სპიკერი

- **ვლადიმერ მაჭარაშვილი**

სამართლის დოქტორი კავკასიის

საერთაშორისო უნივერსიტეტის

ასოცირებული პროფესორი

უსაფრთხოების სფეროს მკვლევართა ასოციაცია
ASSOCIATION OF SECURITY RESEARCHERS

მოსაწვევი

სამეცნიერო კონფერენცია

კონფერენცია/დისკუსია: „საადვოკატო გამოძიება: თეორიისა და პრაქტიკის პრობლემები“

გამართვის ადგილი : საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული დროშის დარბაზი

მისამართი: გუდიაშვილის ქუჩა № 5/7 III კორპუსი (ადმინისტრაციული)

თარიღი:10 სექტემბერი

თბილისი
2024 წ.